ს-29
34(05)
ს-29
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. მარტის 15. № 5 ფილისი

შინაარსი:

სახელმწიფო წყობილება

65. საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების 1-ლი, მე-9 და 10 მუხლების შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

66. სასროლო სანადირო და სასპორტო იარაღის, სასროლო მასალის და ფეიერვერკების ვაჭრობისა, ამ იარაღის და საამისო სასროლო მასალის შეძენის, შენახვის და გამოყენებისა, აფეთქებადი ნივთიერების და დეტონადი საგნების გაცემისა და პიროტექნიკური საწარმოს და სასროლო ტირების გახსნის წესის შესახებ.

67. პურის გამოცხობისა, შენახვისა, გადაზიდვისა და გაყიდვის წესების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელთა დაწესების შესახებ.

სამოქალაქო სამართალი.

68. სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

69. სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 153[1] მუხლის დამატების შესახებ.

მრეწველობა

70. „ბათომის ბუნებრივ საღებავთა ქარხნის საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

71. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი მრეწველობისა, სარეწაო კოოპერაციისა, ინვალიდთა კოოპერაციისა და შინასარეწაოების დაგეგმვისა, საერთო მოწესრიგებისა და აღრიცხვის წესის შესახებ.

მშენებლობა

72. ადგილობრივი საშენი მასალის რეალიზაციისა და 1933 წელს ამ მასალით განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების მომარაგების წესის შესახებ.

ციწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

73. ოთხფეხი საქონლისა და მეცხოველეობის პროდუქციის მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

74. „სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

შ რ ო მ ა

75. შრომის ჭაპანზიდვის ბეგარის ჩატარების შესახებ.

76. „სადგურებთან მდებარე პუნქტებში შეშის გამოზიდვისათვის შეშის დამზადების რაიონების მოსახლეობის შრომის სასყიდლიან ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაწვევის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 4-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობისა და ქუთაისის, ოზურგეთის, ჩოხატაურის და ამბროლაურის რაიონებში მოსახლეობის შრომის სასყიდლიან ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაწვევის შესახებ.

სისხლის სამართალი

77. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის ნუმერაციის შეცვლის შესახებ.

78. დარღვევის ობიექტის ღირებულებასთან ჯერადობითი შეფარდებით დასადებ ფულად გადასახდელთა რაოდენობის გამოანგარიშების საფუძვლების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართალწარმოება

79. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23, 26, 188, 295 და 297 მუხლების შეცვლის შესახებ.

80. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების მე-2 მუხლის ა ლიტერისა, მე-5 მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-12 მუხლის შეცვლის შესახებ.

81. „ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

65. დადგენილება ს.ა.კ და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების 1-ლი, მე-9 და 10 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 25-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-7 №-ი, მუხ. 52; 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 257; 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 167 და 1932 წ. მე-3 №-ი, მუხ. 19) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლიდან ამოშლილ იქნეს უკანასკნელი წინადადება სიტყვა „ამასთანავე“-დან ამ მუხლის ბოლომდე.

2. მე-9 მუხლიდან ამოშლილ იქნეს პირველი აბზაცის უკანასკნელი სიტყვები: „(მეორე ნაწილში)“.

3. მე-10 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„10. საუწყებო განკარგულება და ინსტრუქცია „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში" გამოქვეყნდება იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს გამოქვეყნება გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ეკონომიური საბჭოს დადგენილებით".

4. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს 1933 წ. იანვრის 1-დან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

სახელმწიფო მმართველობა

66. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასროლო სანადირო და სასპორტო იარაღის, სასროლო მასალის და ფეიერვერკების ვაჭრობისა, ამ იარაღის და საამისო სასროლო მასალის შეძენის, შენახვის და გამოყენებისა, აფეთქებადი ნივთიერების და დეტონადი საგნების გაცემისა და პიროტექნიკური საწარმოს და სასროლო ტირების გახსნის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სასროლო სანადირო და სასპორტო იარაღისა, სასროლო მასალის და ფეიერვერკების ვაჭრობა, დაღარული სანადირო და სასპორტო იარაღის და საამისო სასროლო მასალის შეძენა, შენახვა და გამოყენება, აფეთქებადი ნივთიერებისა და დეტონადი საგნების გაცემა და აგრეთვე პიროტექნიკური საწარმოს და სასროლო ტირის გახსნა სწარმოებს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს ნებართვით და იმ წესით, რაც განსაზღვრულია ამ ორგანოების მიერ, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ერთად და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, გამოცემულ ინსტრუქციაში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ინსტრუქციით განისაზღვრება:

ა) სასროლო სანადირო და სასპორტო იარაღის და საამისო სასროლო მასალის ვაჭრობის დაწყების წესი და საწყობებსა და მაღაზიებში ამ ვაჭრობის წარმოების წესი;

ბ) სასროლო მასალისა და სანადირო და სასპორტო იარაღისათვის საწყობების გამართვის და გაწყობის წესები და სასროლო მასალის შენახვის წესი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აფეთქებადი ნივთიერებისა და დეტონადი საგნების საწყობების გახსნის წესი და ამ ნივთიერებისა და საგნების შენახვის და გაცემის წესი;

დ) ფეიერვერკების ვაჭრობის წარმოების წესი;

ე) სანადირო და სასპორტო იარაღის და საამისო სასროლო მასალისა, აფეთქებადი ნივთიერების და დეტონადი საგნებისა და ფეიერვერკების საწყობებისა და მაღაზიებისათვის ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის წესი;

ვ) სასროლო დაღარული სანადირო და სასპორტო იარაღის და საამისო სასროლო მასალის შეძენისა, შენახვისა და გამოყენების წესი;

ზ) ცალკეული პირებისათვის იარაღის შეძენისა, შენახვისა და გამოყენების უფლების შეზღუდვის დადგენის საერთო საფუძვლები;

თ) სანადირო და სასპორტო იარაღისა და საამისო სასროლო მასალის შენახვისა და გამოყენების ნორმები;

ი) პიროტექნიკურ საწარმოთა გახსნის წესი.

კ) სასროლო ტირების გახსნის წესი და გამოყენების წესები;

3. საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთ არ შეუძლიანთ როგორც სასროლო სანადირო და სასპორტო იარაღის (დაღარული და უღარო) და საამისო სასროლო მასალისა, ისე მკვეთი იარაღის შეძენა, შენახვა და გამოყენება.

4. აფეთქებადი ნივთიერება და დეტონადი საგნები, სხვათა შორის კვამლიანი, მცირე-კვამლიანი და უკვამლო დენთი (თოფის წამალი) გაიცემა მარტოოდენ სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოოს საწყობიდან.

5. სასროლო სანადირო და სასპორტო იარაღის და სასროლო მასალის ვაჭრობის დაწყების წესისა და პიროტექნიკური საწარმოს და სასროლო ტირის გახსნის წესის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლის თანახმად, ხოლო სასროლო დაღარული იარაღის შეძენის, შენახვის და გამოყენების წესებისა და აფეთქებადი ნივთიერების და დეტონადი საგნების გაცემის წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას იმავე კოდექსის 202 მუხ. თანახმად.

6. სასროლო სანადირო და სასპორტო იარაღისა და სასროლო მასალის ვაჭრობის წარმოების წესების დარღვევისათვის, აგრეთვე სანადირო და სასპორტო იარაღის შეძენის, შენახვის და გამოყენების წესების დარღვევისათვის (გარდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და სასროლო მასალის და პიროტექნიკური ნაკეთობის შეძენის, შენახვის და გამოყენების წესების დარღვევისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველო აწესებს პასუხისმგებლობას საადმინისტრაციო წესისამებრ—ჯარიმას არა უმეტეს ასი მანეთისა ან იძულებით მუშაობას ერთ თვემდე.

7. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

ა) 1927 წ. აგვისტოს 22-ის თარიღისა და 71 №-ისა „კერძო (სასასროლო) დახურვის და სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ ტირების გახსნის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-8 №-ი, მუხ. 113);

ბ) 1928 წ. ოქტომბრის 31 თარიღის და 79 №-ისა „სანადირო სასროლო იარაღისა და საამისო სასროლო მასალის ვაჭრობისა, აფეთქებადი ნივთიერებისა და დეტონადი საგნების გაცემის და მათი შენახვის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 150).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 39 №-ში 1933 წ. თებერვლის 16.

---

67. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

პურის გამოცხობისა, შენახვისა, გადაზიდვისა და გაყიდვის წესების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელთა დაწესების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს პურის გამოცხობისა, შენახვისა, გადაზიდვისა და გაყიდვის წესების დარღვევისათვის, უკეთუ ეს დარღვევა არ შეიცავს სასამართლო წესით სადევნელი დანაშაულის ნიშნებს, საადმინისტრაციო წესით ჯარიმის დადებას ას მანეთამდე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული გადასახდელი დაიდება სრულიად საკავშირო პურის ინსპექციის ორგანოების ოქმების მიხედვით „ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით“ დადგენილ წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207, ამ დებულების შემდგომი ცვლილებითურთ).

3. ამა დადგენილების წესით გადახდევინებული ჯარიმიდან მიიქცევა:

ა) 25%—ადგილობრივ ბიუჯეტში;

ბ) 25%—პურის მცხობელთა კვალიფიკაციის წარმატების ღონისძიებათათვის;

გ) 25%—პურის საცხობების მომუშავეთა დაპრემირებისათვის;

დ) 25%—მილიციის ორგანოების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობისათვის.

4. 1-ლ მუხლში აღნიშნულ დარღვევათა შესახებ საქმეების განხილვა სწარმოებს უსწრაფესი წესით.

სრ. საქ ც.ა.კ.-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართალი

68. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 23 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 2.** საფრენი აპარატისა, მისი მოტორისა და სხვა საამისო საავიაციო და ჰაერ-საფრენი ქონების შეძენა შეუძლიან: ა) განსაზოგადოებული სექტორის იმ დაწესებულებას და საწარმოს და განსაზოგადოებულ ორგანიზაციას, რომელსაც ეს უფლება მინიჭებული აქვს სსრ კავშირის მთავრობის ან სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ; ბ) კერძო პირს—სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს სპეციალური ნებართვით“.

2. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 23 მუხლის წინანდელი შენიშვნა ჩაითვალოს 1-ლ შენიშვნად.

3. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 53 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„53. მიწა, ტყე, წიაღი, წყალი, საერთო სარგებლობის რკინის გზა და მისი მოძრავი შედგენილობა შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებად.

საფრენი აპარატი შეიძლება იყოს იმ ორგანოს ან პირის მფლობელობასა და ექსპლოატაციაში, რომელსაც ასეთი უფლება მინიჭებული აქვს სსრ კავშირის საჰაერო კოდექსის თანახმად“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

---

69. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 153¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 153¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„153[1]. აკრძალულია, ხელშეკრულობის ბათილობის რიდით, საფანადო საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის უნებართვოდ თვითეულ ცალკე შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის გაქირავება კონტორისა, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს და საწყობისათვის ქალაქებსა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და სარაიონო ცენტრებში“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

მრეწველობა

70. დადგენილება ს.კ.ს.

„ბათომის ბუნებრივ საღებავთა ქარხნის საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 29-ის დადგენილებაში „ბათომის ბუნებრივ საღებავთა ქარხნის საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნება დაერთოს ბათომის ბუნებრივ საღებავთა ქარხანას დაამზადოს ყველგან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხმელმდგარი და დაავადებული თუთის ხის მერქანი“.

2. მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად და ბათომის ბუნებრივ საღებავთა ქარხნის მონაწილეობით, ამ ქარხნისათვის საკუთარი სანედლეულო ბაზისის შექმნის საკითხი (კერძოდ—თუთის ხის მერქნის სხვა ისეთი მცენარეებით შეცვლის საკითხი, რაც ბუნებრივ საღებავებს იძლევა) და წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო მოხსენება 1933 წ. მაისის 1-თვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 29.

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 30 №-ში 1933 წ. თებერვლის 5.

---

71. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი მრეწველობისა, სარეწაო კოოპერაციისა, ინვალიდთა კოოპერაციისა და შინა-სარეწაოების დაგეგმვისა, საერთო მოწესრიგებისა და აღრიცხვის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი მრეწველობისა, სარეწაო კოპერაციისა, ინვალიდთა კოოპერაციისა და შინა-სარეწაოების დაგეგმვა (სახალხო მეურნეობის სათანადო სადარგო გეგმებთან დაკავშირებით), საერთო მოწესრიგება და აღრიცხვა საწარმოო საქმიანობის და კაპიტალური მშენებლობის სფეროში დარგობითი ხაზით დაეკისროს—კუთვნილებისამებრ—მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა და მომარაგების სახალხო კომისარიატებს და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, და მათ შორის აღნიშნული ფუნქციები განაწილებულ იქნეს შემდეგი ნიშნების კვალობაზე:

ა) მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის გამგებლობას მიეკუთვნოს ლითონდამუშავებისა, სამთა-მადნო და სათბობი მასალის მრეწველობისა, საშენი მასალის და მინერალური სასუქის მრეწველობისა, წარმოებისა და ექსპორტისათვის გამოსაყენებელი ქიმიური პროდუქტების (იოდი, პოტაში, ნიკოტინი, მური, სანდალოზ-საღებავები და სხვა მისთ.) მრეწველობის საკითხები და აგრეთვე სამშენებლო რეწაობის საკითხები;

ბ) სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის გამგებლობას მიეკუთვნოს სატყეო, სატყეო-ქიმიური და ხის დამუშავების მრეწველობის საკითხები;

გ) მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობას მიეკუთვნოს ჭრა-კერვისა, საფეიქრო, სატრიკოტაჟო, ტყავისა, ბეწვეულისა, სათელავ-სათექო, საგალანტერიო, სამეცნიერო-სამხატვრო, სასილიკატო-სათუნე, საქაღალდო-საპოლიგრაფიო და საუტილიზაციო მრეწველობის საკითხები, ფართო მოხმარების ქიმიური პროდუქტების მრეწველობის საკითხები და აგრეთვე სხვა შრომითი რეწაობის საკითხები;

დ) მომარაგების სახალხო კომისარიატის გამგებლობას მიეკუთვნოს საჭამადო და საჭამადო-საგემოო მრეწველობის საკითხები;

ე) გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს გამგებლობას მიეკუთვნოს სატრანსპორტო რეწაობის საკითხები.

შენიშვნა. ინვალიდთა კოოპერაციის, როგორც დამოუკიდებელი კოოპერატიული სისტემის, საერთო ხელმძღვანელობა რჩებათ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალურ ორგანოებს.

სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის მიერ გაერთიანებული არტელებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სისტემის სხვა ორგანიზაციების საწარმოო საქმიანობის დაგეგმვა, მოწესრიგება და აღრიცხვა სწარმოებს ამა მუხლში გათვალისწინებული წესით.

2. ადგილობრივი მრეწველობის უშუალო გამგებლობას (საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების ქვემდებარე საწარმოთა ხელმძღვანელობა, ოპერატიული დაგეგმვა და მიმდინარე აღნუსხვა) ანხორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სათანადო ორგანოები და ადგილობრივი მეურნეობის სარაიონო და საქალაქო განყოფილებები (ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებები ან მათი შესაბამი ორგანოები)—ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანოების (კუთვნილებისამებრ) საერთო დირიქტივებითა და დავალებებით.

შენიშვნა 1. იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების შედგენილობაში არსებობენ მომარაგების სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები, ამა მუხლში აღნიშნულ ფუნქციებს ასრულებენ ეს ადგილობრივი ორგანოები.

შენიშვნა 2. ადგილობრივი ქვემდებარეობის სამშენებლო ორგანიზაციებს, რომელნიც ანხორციელებენ საბინაო და კომუნალურ მშენებლობას, და აგრეთვე ამ მშენებლობის დამხმარე მნიშვნელობის საშენი მასალის მკეთებელ საწარმოთ განაგებენ საქალაქო საბჭოების კომუნალური მეურნეობის განყოფილებანი—საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სათანადო ცენტრალური ორგანოების საერთო ხელმძღვანელობითა და რეგულირებით.

კომუნალური მეურნეობის ორგანოების სისტემაში გამოყოფილ დამხმარე საწარმოთა სიებს განსაზღვრავს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით (ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—სათანადო ორგანოებთან) და დაამტკიცებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ.

სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები—კუთვნილებისამებრ.

3. საერთო ზედამხედველობა სარეწაო კოპერატიული არტელებისა და ამხანაგობებისა და შინა-სარეწაოების საქმიანობისათვის დაეკისროს—კუთვნილებისამებრ—ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ უწყებებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

4. საქართველოს სსრ. ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი გაუქმებულ იქნეს და ის ნაწილი მისი ფუნქციებისა, რაც ეხება სარეწაო კოოპერაციის მუშაობის დაკავშირებას სახალხო მეურნეობის ერთიან გეგმასთან, დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ხოლო მისივე ფუნქციების ის ნაწილი, რაც ეხება საქართველოს სსრ უწყებებისა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ორგანიზაციების მუშაობის შეთანხმებას შინამრეწველობის სფეროში და სარეწაო კოოპერაციის ორგანოების მოქმედების პრაქტიკაში აღძრული საუწყებათაშორისო სადაო საკითხების გადაწყვეტას, დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი.

II.

1. ამა დადგენილების 1-ლი კარის შესაბამისად საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) „საქართველოს სსრ-ში მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული სუულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 13-ის I-ლი კარის მე-4 მუხლი შენიშვნითურთ (საქ. სსრ. კან. კრ. 1932 წ. მე-11 №-ი, მუხ. 69 და 70) ძალადაკარგულად ჩაითვალოს;

ბ) „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციის ფორმების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილების მე-III კარი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-14 №-ი, მუხ. 118) გაუქმებულ იქნეს;

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 7-ის დადგენილება „საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ. კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 308; 1932 წ. მე-14 №-ი, მუხ. 118 და 21 №-ი, მუხ. 192) გაუქმებულ იქნეს.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას—შეიმუშაოს, დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, პროექტი დადგენილებისა სხვა იმ ცვლილებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, რაც, ამა დადგენილებასთან დაკავშირებით, შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ კანონმდებლობაში, და წარუდგინოს ეს პროექტი ერთ თვეს ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

III.

ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.
ტფილისი.

მ ო ნ ე ბ ლ ო ბ ა

72. დადგენილება ს.კ.ს.

ადგილობრივი საშენი მასალის რეალიზაციისა და 1933 წელს ამ მასალით განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების მომარაგების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ ადგილობრივი საშენი მასალის მწარმოებელ, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მთელი პროდუქცია, რაც დანიშნულია გასაყიდად, გარდა უბრალო მასალისა (ქვიშა, ქვა, ხრეში, თიხა, გაჯი და სხვა მისთ.), რეალიზებულ უნდა იქნეს „საქმარაგგასაღების“ მეშვეობით.

ამავე წესით სწარმოებს სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოთა მიერ ნაწარმოები ადგილობრივი საშენი მასალის რეალიზაცია, გარდა პროდუქციის 40%-ისა, რაც ეტოვებათ ამ საწარმოთ მათი საკუთარი სამშენებლო საჭიროებისათვის და ბაზარზე რეალიზაციისათვის ფართო მოხმარების საგნების სახით.

შენიშვნა. პროდუქციის ის ნაწილი, რაც რეალიზებულ არ უნდა იქნეს „საქმარაგგასაღების“ მიერ, გამოეყოფა სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოთ ყოველთვიური ფაქტური გამოსავალიდან.

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო საწარმოს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივ საშენ მასალას აწარმოებს, მიჰყიდოს „საქმარაგგასაღებას“‘ ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, მთელი თავისი პროდუქცია, რაც დაგეგმილია დამტკიცებული საწარმოო პროგრამების მიხედვით.

სათანადო ხელშეკრულებები დადებულ უნდა იქნეს აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ „საქმარაგგასაღებასთან" იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 3-ის დადგენილებით „1933 წლისთვის ხელშეკრულების დადების შესახებ" („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია"-ს 1933 წ. მე-4 №-ი), არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 6-ისა.

3. დაევალოს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციათ და საწარმოთ—წარუდგინონ 1933 წ. თებერვლის 6-თვის საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საშენი მასალის განმანაწილებელ კომისიას თავიანთი 1933 წლის საწარმოო პროგრამები, რაც დამტკიცებულია განსაზღვრული წესისამებრ.

4. დაევალოს „საქმარაგგასაღებას" და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წელს მშენებლობის მწარმოებელ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—დადონ თავიანთ შორის 1933 წ. თებერვლის 10-თვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1933 წ. იანვრის 3-ის, დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ, ადგილობრივი საშენი მასალის გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულებები.

ამ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დიდრონ და სადამკვრელო მშენებლობათა მიმაგრება, ადგილობრივი საშენი მასალით მომარაგებისათვის განსაზღვრულ საწარმოებზე და ქარხნებზე (ნაყოფიერებისა და სამყოფელი ადგილის მიხედვით) იმათ შორის, რომელთაც თავიანთი პროდუქცია „საქმარაგგასაღებას" მიჰყიდეს (მუხ. 2).

5. იმ უწყებათა, დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი, რომელთაც არ შეასრულეს ან თავის დროზე არ შეასრულეს ამა დადგენილების მე-2, 3, და 4 მუხლებით გათვალისწინებული მოვალეობანი, მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავის სათანადო მუხლების თანახმად, რომლითაც გათვალისწინებულია თანამდებობრივი დანაშაულნი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 31.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 27 №-ში 1933 წ. თებერვლის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

73. დადგენილება ს.კ.ს.

ოთხფეხი საქონლისა და მეცხოველეობის პროდუქციის მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

ოთხფეხი საქონლის რაოდენობის და მეცხოველეობის პროდუქციის მოძრაობის შესახებ სისტემატური ცნობების მიღებისა და აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის კონტროლის განხორციელების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 12-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 35 №-ი, მუხ. 213) და მის განსავითარებლად გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმავე წლის სექტემბრის 15-ის დადგენილების შესაბამისად, ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—მოაწყოს, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიერ თავიანთი ცენტრებისათვის წარდგენილი თვიური ანგარიშების თანახმად, სისტემატური ყოველთვიური აღრიცხვა ოთხფეხი საქონლის რაოდენობისა, ნახირის ბრუნვის ძირითადი ცნობებისა (გაწყდომა, ნამატი, დაკვლა, ჩაბარება-გაყიდვა და სხვა მისთ.), მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციისა და აგრეთვე საქონლის კვებისა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, მომარაგების სახალხო კომისარიატის და სხვა სახალხო კომისარიატების ყველა საბჭოთა მეურნეობაში, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმაში, სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეთუბნო მეურნეობაში და საკვებ პუნქტში.

2. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მომარაგების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების კავშირის ცენტრალურ გამგეობას (საქ. საკოლმეურნეო ცენტრს), ცეკავშირს და აგრეთვე მეცხოველეობის მეურნეობათა მქონე სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს—მოაწყონ ყოველთვიური ანგარიშგება მეცხოველეობის ხაზით სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ დამტკიცებული ფორმით.

3. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მომარაგების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების კავშირის ცენტრალურ გამგეობას (საქ. საკოლმეურნეო ცენტრს), ცეკავშირს და აგრეთვე სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს და მათში შემავალ შენაერთებს—უზრუნველყონ თავისდროული წარდგენა საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში და მის ადგილობრივ ორგანოებში საანგარიშო ცნობებისა ოთხფეხი საქონლის რაოდენობის და მეცხოველეობის პროდუქციის შესახებ.

4. მეცხოველეობის პროდუქციის შესახები ცნობების სისავსისა და ამ ცნობებისათვის კონტროლის გაწევის უზრუნველსაყოფად დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—მოაწყოს თავისი სარაიონო სააღრიცხვო აპარატის მეშვეობით ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი მეცხოველეობის საწარმოს (საბჭოთა მეურნეობა, კოოპერატიული სასოფლო მეურნეობა) და კოლექტიური მეურნეობის სასაქონლო ფერმის მეცხოველეობის პროდუქციის კვარტალური ანგარიშები.

5. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მომარაგების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების კავშირის ცენტრალურ გამგეობას (საქ. საკოლმეურნეო ცენტრს), ცეკავშირს და მეცხოველეობის მეურნეობათა მქონე სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს—დაავალონ თავიანთ ადგილობრივ დაწესებულებათ და საწარმოთ (საბჭოთა მეურნეობა, სასაქონლო ფერმა, საგარეთუბნო მეურნეობა და სხვა მისთ.) წარადგინონ ხოლმე, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორების მოთხოვნისამებრ, ოთხფეხი საქონლის და მეცხოველეობის პროდუქციის შესახები ცნობები სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოების მიერ დადგენილი ფორმით.

6. საკვარტალო ანგარიშების ბარათების შევსება დაეკისროს სასოფლო-სამეურნეო-საწარმოთა (საბჭოთა მეურნეობა, საგარეთუბნო მეურნეობა, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა და სხვ.) სააღრიცხვო აპარატს და დაევალოს აღნიშნულ საწარმოთ გამოჰყონ ამ მიზნისათვის სპეციალური პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებისათვის თავის დროზე სააღრიცხვო ბარათების წარდგენის საქმეში.

7. საწარმოთა საკვარტალო ანგარიშგება მეცხოველეობის პროდუქციის შესახებ, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებისათვის წარდგენასთან ერთად, უნდა წარედგინოს აგრეთვე სათანადო სამეურნეო ორგანოს—ტრესტს, შენაერთს, სახალხო კომისარიატს.

8. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოების უფროსებს—დაადონ ხელთყოლილი ოთხფეხი და ხელთქონებული მეცხოველეობის პროდუქციის შესახებ კვარტალური ცნობების წარდგენისათვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთ ჯარიმა 150 მანეთამდე, უკეთუ ისინი აღნიშნულ ცნობებს ვადაზე არ წარადგენენ.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატაროს ხოლმე ყოველი წლის იანვრის 1-თვის მთლიანი მეურნეობითი აღრიცხვა ოთხფეხი საქონლის რაოდენობისა ინდივიდუალურ მეურნეობებში და აგრეთვე კოლმეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი საქონლისა.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—შეიმუშაოს და წარადგინოს დასამტკიცებლად 1933 წლის იანვრის 1-თვის აღრიცხვის ჩატარების პროგრამა და საორგანიზაციო გეგმა.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—გამოარკვიოს ხოლმე წლის განმავლობაში ერთხელ მეცხოველეობის პროდუქცია მთლიანად.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—შეიმუშაოს ამა დადგენილების თანახმად და წარმართოს სათანადო დაწესებულებათა სახელმძღვანელოდ საჭირო საინსტრუქციო დირექტივები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ. ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ნოემბრის. 22.

ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება

74. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 103 და 104; მე-20 №-ი, მუხ. 164; 23 №-ი, მუხ. 223) მოქმედების ვადა განგრძობილ იქნეს 1933 წ. აპრილის 1-მდე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 იანვრის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 35 №-ში 1933 წ. თებერვლის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ რ ო მ ა

75. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

შრომის ჭაპანზიდვის ბეგარის ჩატარების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შრომის ჭაპანზიდვის ბეგარის გამოყენება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება მხოლოდ შემდეგი წესით:

ა) შრომის საგზაო ჭაპანზიდვის ბეგარა ტარდება შრომის საგზაო ბეგარის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივლისის 3-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 13 №-ი, მუხ. 148; 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 16 და 17), საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის ჩატარების შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის აგვისტოს 30-ის დადგენილებისა (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 16 №-ი, მუხ. 256; 1932 წ. 13 №-ი, მუხ. 109) და მათ განსავითარებლად გამოცემული ინსტრუქციების წესისამებრ;

ბ) შრომის ჭაპანზიდვის ბეგარა სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად ტარდება სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 13-ის დადგენილების წესისამებრ (კან. კრ. 1932 წ. 16 №-ი, მუხ. 127);

გ) შრომის ჭაპანზიდვის ბეგარა ყველა დანარჩენ შემთხვევაში შეიძლება გატარდეს მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, რაც მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით.

2. ყველა შემთხვევაში, როდესაც კანონით სხვა რამ არ არის დაწესებული, ოთხფეხი საქონლის გამოყენება შრომის ჭაპანზიდვის ბეგარისათვის შეიძლება მხოლოდ სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად შრომის ბეგარის შესახებ გამოცემული დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 16 №-ი, მუხ. 127) 18—23, 26, 27, 30, 31 და 34 მუხლებით გათვალისწინებული წესების თანახმად.

3. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 11-ის დადგენილება სოფლის მეურნეობაში და ჭაპანზიდვის ტრანსპორტში საწევი ძალის დაცვისა და გამრავლებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 57).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76. დადგენილება ს.კ.ს.

„სადგურებთან მდებარე პუნქტებში შეშის გამოზიდვისათვის შეშის დამზადების რაიონების მოსახლეობის შრომის სასყიდლიან ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაწვევის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 4-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობისა და ქუთაისის, ოზურგეთის, ჩოხატაურის და ამბროლაურის რაიონებში მოსახლეობის შრომის სასყიდლიან ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაწვევის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

განგრძობილ იქნეს 1933 წ. თებერვლის 28-დე მოქმედება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 4-ის დადგენილებისა სადგურებთან მდებარე პუნქტებში შეშის გამოზიდვისათვის შეშის დამზადების რაიონების მოსახლეობის შრომის სასყიდლიან ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაწვევის შესახებ (საქ. სსრ. კან. კრ. 1932 წ. 23 №-ი, მუხ. 229).

II.

შემოღებულ იქნეს ვადით 1933 წ. თებერვლის 28-დე ქუთაისის, ოზურგეთის, ჩოხატაურის და ამბროლაურის რაიონებში შრომის სასყიდლიანი ჭაპანზიდვის ბეგარა იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 4-ის დადგენილებით „სადგურებთან მდებარე პუნქტებში შეშის გამოზიდვისათვის შეშის დამზადების რაიონების მოსახლეობის შრომის სასყიდლიან ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაწვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 23 №-ი, მუხ. 229).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 23.
ტფილისი.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 29 №-ში 1933 წ, თებერვლის 4.

სისხლის სამართალი

77. დადგენილება ცაკ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის ნუმერაციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1) 31 მუხლის მეხუთე და მეექვსე ნაწილი (საქ.სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 298) გამოყოფილ იქნეს დამოუკიდებელ 311[1] მუხლად;

2) 108 მუხლის მეორე ნაწილი გამოყოფილ იქნეს დამოუკიდებელ 108[1] მუხლად;

3) 109[1] მუხლში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 49) იქ, სადაც დასახელებულია 108 მუხლი, ამოიშალოს მინიშნება 108 მუხლის 1-ლ ნაწილზე—„(1 ნაწ.)";

4) 111 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი გამოყოფილ იქნეს დამოუკიდებელ 111[1] მუხლად;

5) 79[1] მუხლის მე-3 ნაწილში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 252) სიტყვები „რასაც მოჰყვა ამა მუხლის მე-2 და 3 ნაწილებში აღნიშნული შედეგი" შეიცვალოს სიტყვებად: „რასაც მოჰყვა ამა მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებში აღნიშნული შედეგი".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

---

78. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

დარღვევის ობიექტის ღირებულებასთან ჯერადობითი შეფარდებით დასადებ ფულად გადასახდელთა რაოდენობის გამოანგარიშების საფუძვლების შესახებ.

ვიდრე გადაისინჯებოდეს მომქმედი კანონმდებლობის საერთანადო ნაწილი, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც კანონით გათვალისწინებულია დარღვევის ობიექტის ღირებულებასთან ჯერადობითი შეფარდებით დასადები ფულადი გადასახდელი (როგორც, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 61,62,63,136[1]-ა და 200[1]-მუხლებშია), ამ გადასახდელის რაოდენობის გამოანგარიშების საფუძვლად, როგორც სასამართლო, ისე საადმინისტრაციო წესით დადების დროს, მიღებულ უნდა იქნეს: ა) სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის—არსებული საკონვენციო ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტების, რომლებიც მზადდება დეცენტრალიზებული წესით, და ბ) სპეციფიცირებული საგნებისათვის—არსებული საშუალო კომერციული ფასები ამგვარი საგნებისა.

2. ფულად გადასახდელთა რიოდენობის გამოანგარიშება, აღნიშნული 1-ლ მუხლში, უნდა შეეფარდოს როგორც იმ დარღვევათ, რაც შეიძლება ჩადენილ იქნეს შემდეგში, ისე უკვე ჩადენილ დარღვევათ, საქმეები, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ განხილული არ არის.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. სტურუა.**

საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.
ტფილისი.

სასამართლო წესებილება და სამართლის წარმოება

79. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23,26,188,295 და 297 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23 მუხლის „ა“ პუნქტი, 23 მუხლის შენიშვნა, 26 მუხლის „ა“ პუნქტი და 188 და 297 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[23. სახალხო სასამართლოს ექვემდებარება:]

„ა) სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა საქმე, იმ საქმეების გარდა, რაც ექვემდებარება საქართველოს უზენაეს სასამართლოს—სამოქალაქო სასამართლო კოლეგიის ხაზით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის უმაღლეს, უზენაეს და მთავარ სასამართლოებს, სახელმწიფო არბიტრაჟს, სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს, საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს (ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში და სარეწაო კოოპერატიულ ამხანაგობაში (არტელში) და საამხანაგო სასამართლოს კოლექტიურ მეურნეობაში, საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობაში და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლთან).“

„**23 მუხლის შენიშვნა.** სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს ან საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს ქვემდებარე საქმეს, რაც სახალხო სასამართლოს გადაეცა ამ სასამართლოების დებულებებით გათვალისწინებული წესისამებრ, აგრეთვე იმ საქმეს, რომლის შესახებაც აღნიშნული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმებულია სახალხო სასამართლოს მიერ ზედამხედველობის წესით, სახალხო სასამართლო განიხილავს საერთო წესისამებრ“.

[26. საქართველოს უზენაეს სასამართლოს—სამოქალაქო სასამართლოს კოლეგიის ხაზით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ—ოლქებში—უმაღლეს, უზენაეს და მთავარ სასამართლოებს ექვემდებარება:]

„ა) საქმე იმ სარჩელის გამო, რაც აღძრულია სასამართლო დაწესებულებაში სახალხო კომისარიატისა და მისი თანაბარი ცენტრალური დაწესებულებისა და ტფილისის საქალაქო საბჭოს წინააღმდეგ, როდესაც ეს სარჩელი მიმართულია მთელი დაწესებულებისა და არა მისი განყოფილების თუ ნაწილის წინააღმდეგ და დაკავშირებულია მის უშუალო ფუნქციებთან“.

„188. გადაწყვეტილებას განმარტავს ის სასამართლო, რომელმაც გადაწყვიტა საქმე. თხოვნის შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ვადით არ არის შეზღუდული, უკეთუ გადაწყვეტილება აღსრულებული არ არის, ან უკეთუ მას ძალა არ დაჰკარგვია ხანდაზმულობის გასვლის გამო (მუხ. 297)“.

„297. სააღსრულებო მოქმედებას სასამართლოს აღმასრულებელი შეუდგება გადამხდევინებლის სიტყვიერი თუ წერილობითი განცხადებით ან სასამართლოს თუ გამომძიებლის უშუალო წინადადებით, სათანადოდ გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის თანახმად, უკეთუ ამ დოკუმენტში აღნიშნულ გადაწყვეტილებას ძალა არ დაჰკარგვია შემდეგი ვადების გასვლის გამო: ექვსი თვისა—სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრული დავისათვის და სამი წლისა—ყველა სხვა დავისათვის“.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოიშალოს: 26 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები, 26 მუხლის „გ“ პუნქტის შენიშვნა და 26 მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნები.

3. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 295 მუხლს დაემატოს პუნქტი „კ“ შემდეგი შინაარსისა:

[295. ქვემომდევნო მუხლებში განსაზღვრული წესით აღსრულებულ უნდა იქნეს: . . .]

„კ) სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რაც გამოტანილია მისი დებულების თანახმად“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ხატურია.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

80. დადგენილება ს.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების მე-2 მუხლის ა ლიტერისა, მე-5 მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-12 მუხლის შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღსასრულებელი კომიტეტის 1932 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 82 №-ი, მუხ. 503), რომლითაც შეცვლილია მისი 1932 წ. აპრილის 17-ის დადგენილება „სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ“, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

გამორიცხულ იქნეს სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების ქვემდებარეობიდან საქმეები კოლექტიური მეურნეობის ქონების გამოტაცებისა და გაფუჭების ან ამ ქონებისათვის ზიანის მიყენების შესახებ.

II.

ამისდა შესაბამისად სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის ა ლიტერის „გ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 142) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[2. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს: ა. სისხლის სამართლის საქმეები:.....]

„გ) კოლმეურნისა და ინდივიდუალური მეურნის პირადი (არაგანსაზოგადოებული) ქონების პირველად მოპარვის შესახებ, განადგურების და დაზიანების შესახებ (სხვათა შორის ნათესის, ბაღის, ვენახის, ბოსტნის და სხვა მისთ. განზრახ საქონლის მიშვებით წახდენა, გარდა ბამბის ნათესის განზრახ საქონლის მიშვებით წახდენისა), უკეთუ მიყენებული ზიანის რაოდენობა ორმოცდაათ მანეთს არ აღემატება.

2. მე-2 მუხლის ა ლიტერის „ი“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 142) ამოშლილ იქნეს.

3. მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 142) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ამა დებულების მე-2 მუხლის ა ლიტერის „თ“ პუნქტში ჩამოთვლილ საქმეებს სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს იმ შემთხვევაში, უკეთუ ამის შესახებ არსებობს სათანადო სასოფლო საბჭოს დადგენილება“.

4. მე-12 მუხლში წინადადება „მე-2 მუხლის ა ლიტერის „ა“, „ბ“, „გ“,

„თ“ და „ი“ პუნქტებში შეიცვალოს წინადადებად: „მე-2 მუხლის ა ლიტერის „ა“, „ბ“ „გ“ და „თ“ პუნქტებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **ბ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

---

81. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილების 1-ლ მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 129) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** საფაბრიკო-საქარხნო საწარმოში, სახელმწიფო საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში, საერთო საწარმო-საამხანაგო სასამართლოს გარდა, იმ საამქროსთან და განყოფილებასთან, სადაც ირიცხება არა ნაკლებ 100 მომუშავისა, უნდა მოეწყოს აგრეთვე საამქრო და საგანყოფილებო საწარმოო-საამხანაგო სასამართლო, რომელიც განიხილავს, საერთო საფუძველზე, უწყებულ საამქროს ან განყოფილებაში აღძრულ საქმეებს“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **ბ. სტურუა.**

საქ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1933 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 40 კაპ.

მთავლიტი № 223. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 437. ტირაჟი 1.500.